

სარჩევი

თავი I. სტუდენტის სტატუსის მოპოვება და მართვა 3

1. ჩარიცხვის წინაპირობები 3

2. გადაყვანის წესით ჩარიცხვა (მობილობა) 4

3. სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა (შიდა მობილობა) 4

4. ხელშეკრულების გაფორმება და სწავლის საფასურის გადახდის პირობები 5

5. სტუდენტის საიდენტიფიკაციო ბარათი 5

6. სტუდენტის პირადი მონაცემები 6

7. ინფორმაციის მართვა 6

თავი II. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია 6

8. ადმინისტრაციული რეგისტრაცია 6

9. აკადემიური რეგისტრაცია 7

თავი III. სტუდენტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა 8

10. სტუდენტის სტატუსის შეჩერება 8

11. სტუდენტის სტატუსის აღდგენა 9

12. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა 9

თავი IV. სასწავლო პროცესი 10

13. პროგრამის ხანგრძლივობა 10

14. სწავლების ენა 10

15. სასწავლო პროცესის მიმდინარეობა 10

16. ამოღებულია 10

17. სტუდენტის დატვირთვის კრედიტებით გაანგარიშება 10

18. პროგრამის კომპონენტი 11

თავი V. სტუდენტის ცოდნის შეფასება 11

19. შეფასების სახეები 11

20. გამოცდის ადმინისტრირება 13

21. გამოცდაზე დაშვების პირობები 14

22. გამოცდაზე ქვევის წესები 14

23. გამოცდის აღდგენა 14

24. გამოცდის მიმდინარეობის გასაჩივრება 15

25. გამოცდის შეფასების გასაჩივრება	15
26. შეფასების სისტემა	15
27. შედეგების საშუალოს კოეფიციენტი	16
28. შეფასების თავსებადობა	18
თავი VI . საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვა და შეფასება	19
28.¹. საკვალიფიკაციო ნაშრომი	19
28.². საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბჭო	19
28.³ ჰუმანურ საკითხთა საბჭო	19
28.⁴. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნები	19
მუხლი 28.⁵. საკვალიფიკაციო თემის შერჩევა	20
28.⁶. ნაშრომის კონცეფცია	20
28.⁷. წინასწარი განაცხადი	20
28.⁸. საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვა	21
29. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა	21

თავი I. სტუდენტის სტატუსის მოპოვება და მართვა

1. ჩარიცხვის წინაპირობები

1. აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (საბაკალავრო პროგრამებზე) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი სხვა წესის (დანართი №6) შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციისა და პრეზიდენტების ბრძანების საფუძველზე. (ცვლილება №25 დამტკიცებული 2014 წლის 16 იანვრის აკადემიური საბჭოს №2-14 ოქმით)

2. აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე (სამაგისტრო პროგრამებზე) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი სხვა წესის (დანართი №6) შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციისა და პრეზიდენტების ბრძანების საფუძველზე. (ცვლილება №25 დამტკიცებული 2014 წლის 16 იანვრის აკადემიური საბჭოს №2-14 ოქმით)

3. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გასავლელად სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე შეავსოს ელექტრონული განაცხადი, წარმოადგინოს ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები გააფორმოს უნივერსიტეტთან ხელშეკრულება. წარმოსადგენი დოკუმენტაცია: (ცვლილება №37 დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2014 წლის 3 ნოემბრის №46-14 ოქმით)

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი,
- საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის - სკოლის ატესტატი/სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის ბაკალავრის დიპლომი,
- სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი,
- ფოტოსურათი (3X4),
- პრეზიდენტების ბრძანებით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები. (ცვლილება №25 დამტკიცებული 2014 წლის 16 იანვრის აკადემიური საბჭოს №2-14 ოქმით).

3¹. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე შევსებული ელექტრონული განაცხადისა და წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ფორმდება ხელშეკრულება. აბიტურიენტი/მაგისტრანტობის კანდიდატი ვალდებულია უნივერსიტეტთან ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი საბანკო დღის ვადაში გადაიხადოს სწავლების საფასურის ის ოდენობა, რომელიც აღემატება მოპოვებულ სახელმწიფო სასწავლო გრანტს. ხელშეკრულება ძალაშია ამ პუნქტით დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში სწავლის საფასურის გადახდის მომენტიდან.

ამ პუნქტით დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში აბიტურიენტს/მაგისტრანტობის კანდიდატს უბრუნდება წარმოდგენილი დოკუმენტაცია და იგი არ ჩარიცხება საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამაზე. (ცვლილება №37 დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2014 წლის 3 ნოემბრის №46-14 ოქმით)

4. სავალდებულოა სარეგისტრაციო დოკუმენტების ელექტრონულ მატარებელზე წარმოდგენაც.

5. სარეგისტრაციო დოკუმენტები ინახება სტუდენტის პირად საქმეში. განცხადების საფუძველზე სტუდენტი უფლებამოსილია გაითხოვოს სკოლის ატესტატი/დიპლომი განსაზღვრული ვადით, რისი გადამეტება სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია.

1¹. სასწავლო კომპონენტებზე დაშვების წინაპირობების განმარტება.

1. პროგრამის კურიკულუმი აგებულია საფეხურებრივი გართულების მიხედვით, რაც უბრუნველყოფილია ლოგიკური წინაპირობებითა და თანაპირობებით და განაპირობებს საგანთა აუცილებელი თანმიმდევრობის დაცვას, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს, მიადწიოს პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებს.

2. პროგრამაში საგნები აწყობილია ლოგიკური თანმიმდევრობით. ამ თანმიმდევრობის შესანარჩუნებლად, სირთულის გათვალისწინებით თემატიკის დასაძლევად, საჭიროა პრერეკვიზიტების გამოყენება.

3. პრერეკვიზიტი საგნის დასაძლევად საჭიროა ორი სახის კონკრეტული კომპეტენცია, რომელსაც მოიცავს სხვა სასწავლო კომპონენტი, მაშინ აღნიშნულ საგანს უნდა განესაზღვროს წინაპირობად აღნიშნული სასწავლო კომპონენტი. იმ შემთხვევაში თუ საგანს განსაზღვრული აქვს თანაპირობად რაიმე საგანი ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული საგანი და მისი თანაპირობა სტუდენტს აძლევს კომპლექსურ ცოდნას მოცემულ საკითხებში. თანაპირობების კავშირი არის ცალმხრივი რაც ასახულია შესაბამისი სასწავლო კომპონენტების სილაბუსებში. თუ სტუდენტი დაძლევს ერთ-ერთ კომპონენტს მაინც, სტუდენტს ჩაეთვლება დაძლეული კომპონენტი.

4. ინფორმაცია ყველა შესაძლო პრერეკვიზიტის ვერსიის (წინაპირობა, ალტერნატიული წინაპირობა, თანაპირობა, ალტერნატიული თანაპირობა) შესახებ აღწერილია სტუდენტებისთვის განკუთვნილ საინფორმაციო ცნობარში, ასევე უნივერსიტეტში და მის ელექტრონულ სამომხმარებლო არეში („ჩემი UG“), საიდანაც სტუდენტი ახდენს კურსზე რეგისტრაციას:

ა) წინაპირობა - წინაპირობა გულისხმობს, რომ კონკრეტული საგნის გასავლელად სტუდენტს საჭიროა გავლილი ჰქონდეს მის წინაპირობად დასახელებული საგანი რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული საგნის გასავლელად საჭირო კომპეტენციებს.

ბ) თანაპირობა - თანაპირობა გულისხმობს, რომ ამ კონკრეტული საგნის გასავლელად სტუდენტმა საჭიროა ამავე საგანთან ერთად გაიაროს ან უკვე გავლილი ჰქონდეს მის თანაპირობად დასახელებული საგანი.

გ) ალტერნატიული წინაპირობა - ალტერნატიული წინაპირობა გულისხმობს, რომ ამ კონკრეტული საგნის გასავლელად სტუდენტს საჭიროა გავლილი ჰქონდეს მის ალტერნატიულ წინაპირობად დასახელებული საგნებიდან ერთ-ერთი.

დ) ალტერნატიული თანაპირობა - ალტერნატიული თანაპირობა გულისხმობს, რომ ამ კონკრეტული საგნის გასავლელად სტუდენტმა საჭიროა ამავე საგანთან ერთად გაიაროს ან უკვე გავლილი ჰქონდეს ალტერნატიულ თანაპირობად დასახელებული საგნებიდან ერთ-ერთი. (ცვლილება №32 დამტკიცებული 2014 წლის 13 ივნისის აკადემიური საბჭოს № 24-14 ოქმით)

2. გადაყვანის წესით ჩარიცხვა (მობილობა)

1. მობილობით ჩარიცხვის კანდიდატი ვალდებულია უნივერსიტეტს დამატებით წარუდგინოს:

ა) სტუდენტის სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი);

ბ) ამონაწერის სტუდენტის ჩარიცხვის ბრძანებიდან;

გ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ ან ამონაწერი სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის ბრძანებიდან.

2. კრედიტების აღიარების კომისია ადგენს სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ. ამ მიზნით კომისია უფლებამოსილია მოსთხოვოს სტუდენტს ჩაბარებული კომპონენტების სილაბუსები ან/და გამოცდის ჩაბარება. კრედიტების აღიარების კომისიის მიერ კრედიტების აღიარებამდე სტუდენტი ვერ დარეგისტრირდება საგნებზე. (ცვლილება №28 დამტკიცებული 2014 წლის 19 თებერვლის აკადემიური საბჭოს № 7-14 ოქმით)

2¹. მაგისტრანტის შიდა მობილობისას მხედველობაში მიიღება სტუდენტის მიერ ჩაბარებული მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების შესაბამისი საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების შესაბამისად.

3. სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა (შიდა მობილობა)

1. შიდა მობილობა ხორციელდება ახალი სასწავლო სემესტრის დაწყებამდე. დამატებითი პირობები დგინდება პრეზიდენტების ბრძანებით. (ცვლილება №25 დამტკიცებული 2014 წლის 16 იანვრის აკადემიური საბჭოს №2-14 ოქმით).

2. შიდა მობილობით სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლისას სტუდენტის სწავლის საფასური განისაზღვრება მობილობით არჩეულ პროგრამაზე მისი უნივერსიტეტში ჩარიცხვის პერიოდისათვის დადგენილი გადასახადით.

3. კრედიტების აღიარების კომისია ადგენს სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგებისა და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული კომპონენტების თავსებადობას. კრედიტების აღიარების კომისიის მიერ თავსებადობის დადგენამდე სტუდენტი ვერ დარეგისტრირდება საგნებზე. (ცვლილება №28 დამტკიცებული 2014 წლის 19 თებერვლის აკადემიური საბჭოს № 7-14 ოქმით)

4. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი გადადის იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის პრიორიტეტული კომპონენტია მათემატიკა, სკოლა ვალდებულია ჩაუტაროს მათემატიკის ცოდნის შეფასების გამოცდა. ეს წესი ვრცელდება იმ სტუდენტზე, რომელსაც არ აქვს ჩაბარებული მათემატიკის ერთიანი ეროვნული გამოცდა.

4. ხელშეკრულების გაფორმება და სწავლის საფასურის გადახდის პირობები

1. სარეგისტრაციო დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე, სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ფორმდება ხელშეკრულება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის ვადით.

2. სწავლის საფასურის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ გარემოებათა არსებითი ცვლილებების დროს, რაც დგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

3. გადახდილი სწავლის საფასური სტუდენტს უკან არ უბრუნდება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სტუდენტი სტატუსის შეწყვეტის შესახებ განცხადებით უნივერსიტეტს მიმართავს აკადემიური წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 4 კვირისა. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში აკადემიური წლის დაწყებამდე უნივერსიტეტს უნარჩუნდება წლიური საფასურის 30, ხოლო დაწყებიდან ოთხი კვირის განმავლობაში - 50 პროცენტი. (ცვლილება №24 დამტკიცებული 2013 წლის 12 დეკემბრის აკადემიური საბჭოს №50-13 ოქმით).

4. სწავლის საფასურს აკლდება სახელმწიფო სასწავლო გრანტის შესაბამისი ოდენობა, სემესტრული გადახდის შემთხვევაში - შესაბამისი სასწავლო წლის მეორე სემესტრში.

5. სწავლის საფასურის გადახდისგან ნაწილობრივ/მთლიანად გათავისუფლებას ან გადახდის გადავადებასთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ შემთხვევებს განიხილავს უნივერსიტეტის სოციალურ საკითხთა კომისია, რომელსაც სტუდენტმა უნდა მიმართოს განცხადებით „ჩემი UG“-ს მეშვეობით პრეზიდენტების ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში. (ცვლილება №33 დამტკიცებული 2014 წლის 16 ივნისის აკადემიური საბჭოს № 25-14 ოქმით)

6. ვადების დარღვევით შემოატანილ განცხადებას კომისია არ განიხილავს. (ცვლილება №33 დამტკიცებული 2014 წლის 16 ივნისის აკადემიური საბჭოს № 25-14 ოქმით)

5. სტუდენტის საიდენტიფიკაციო ბარათი

1. სტუდენტს გადაეცემა საიდენტიფიკაციო ბარათი უნიკალური ნომრით, რომელიც სტუდენტის საშვია უნივერსიტეტში და მის ელექტრონულ სამომხმარებლო არეში („ჩემი UG“). „ჩემი UG“ იძლევა სასწავლო პროცესთან (საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები, შეფასებები, საგამოცდო ცხრილი, გაცდენები და სხვა) ან სტუდენტურ ცხოვრებასთან (სტუდენტური კლუბები, ღონისძიებები და სხვა) დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციას. დაუშვებელია სხვა სტუდენტის საიდენტიფიკაციო ბარათით ან უნიკალური ნომრით სარგებლობა.

2. საიდენტიფიკაციო ბარათის დაკარგვის შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია მიმართოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს განცხადებით. საიდენტიფიკაციო ბარათის აღდგენის ღირებულება დგინდება პრეზიდენტების აქტით. (ცვლილება №25 დამტკიცებული 2014 წლის 16 იანვრის აკადემიური საბჭოს №2-14 ოქმით).

6. სტუდენტის პირადი მონაცემები

1. პირადი მონაცემების შეცვლის შემთხვევაში, სტუდენტის განცხადების და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, მონაცემებს ცვლის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური.

2. სტუდენტი ვალდებულია საკონტაქტო მონაცემების (მისამართის, ტელეფონის ნომრის) შეცვლის შემთხვევაში ერთი კვირის ვადაში დააფიქსიროს ცვლილება „ჩემი UG“-ის მეშვეობით.

3. მონაცემების წარმოდგენლობის გამო დამდგარ შედეგზე უნივერსიტეტი იხსნის პასუხისმგებლობას.

4. სტუდენტის შესახებ ინფორმაციის მესამე პირებზე გაცემა დაიშვება მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

7. ინფორმაციის მართვა

1. სტუდენტის ინფორმირება ხდება ელექტრონული ფორმით „ჩემი UG“-ის მეშვეობით. სტუდენტი ვალდებულია დროულად გაეცნოს ადმინისტრაციის შეტყობინებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნივერსიტეტი იხსნის პასუხისმგებლობას დამდგარ შედეგზე.

2. სტუდენტის ყველა განცხადება მიიღება ელექტრონული ფორმით „ჩემი UG“-ის მეშვეობით. ინფორმაცია განცხადების სტატუსის შესახებ ხელმისაწვდომია განმცხადებლისთვის.

3. სტუდენტი უნივერსიტეტის ნებისმიერ თანამშრომელს უკავშირდება შეტყობინების სისტემის საშუალებით.

თავი II. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

8. ადმინისტრაციული რეგისტრაცია

1. სტუდენტის ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულისხმობს სარეგისტრაციო ვადებში სწავლის წლიური საფასურის სრულად გადახდას, ხოლო გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული სტუდენტის მიერ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენას. (ცვლილება №41 დამტკიცებული 2015 წლის 27 აგვისტოს აკადემიური საბჭოს №21-15 ოქმით)

2. პირველკურსელთათვის და მობილობით ჩარიცხული სტუდენტებისთვის რეგისტრაციის ვადები განისაზღვრება პრეზიდენტების ბრძანებით. (ცვლილება №25 დამტკიცებული 2014 წლის 16 იანვრის აკადემიური საბჭოს №2-14 ოქმით).

3. საბაკალავრო სწავლების სტუდენტი მომდევნო სასწავლო წელზე რეგისტრირდება არა უგვიანეს 15 ივნისისა. სამაგისტრო სწავლების სტუდენტი შემოდგომის სემესტრისათვის რეგისტრირდება არა უგვიანეს 30 ივნისისა, ხოლო გაზაფხულის სემესტრისათვის არა უგვიანეს 30 დეკემბრისა.

4. ამოღებულია. (ცვლილება №30 დამტკიცებული 2014 წლის 30 მაისის აკადემიური საბჭოს № 22-14 ოქმით)

5. ამოღებულია. (ცვლილება №30 დამტკიცებული 2014 წლის 30 მაისის აკადემიური საბჭოს № 22-14 ოქმით)

8¹. პირგასამტეხლო

1. ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადის დარღვევას მოსდევს სტუდენტისთვის პირგასამტეხლოს დაკისრება (სწავლის საფასურის გადახდის ვადის გადაცილების გამო):

ა) ვადის ამოწურვის შემდეგი დღიდან მომდევნო 3 კვირის განმავლობაში ყოველი კვირის დასაწყისში სტუდენტს ერიცხება სწავლის წლიური საფასურის 1%.

2. სწავლის საფასურის გადახდის ვადის გადაცილებიდან 3 კვირის შემდეგ პირგასამტეხლოსა და გადასახდელი სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეუჩეროს სტუდენტს სტატუსი. სტატუსის შეჩერების პერიოდში ჩერდება სწავლის საფასურის გადაუხდელობისათვის ამ დებულებით დადგენილი სანქციის მოქმედება.

3. იმ სტუდენტებს რომელთაც სოციალურ საკითხთა კომისიის გადაწყვეტილებით დადგენილი აქვთ გადახდის ფრაფიკი, არ ვრცელდება ამ დებულებით განხაზღვრული სანქცია, თუ ასრულებენ სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ დადგენილ გადახდის გრაფიკს.

4. სოციალურ საკითხთა კომისია დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ადგენს გრაფიკს, რომლის დარღვევის შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია გამოიყენოს ამ დებულებით განსაზღვრული სანქცია, კერძოდ, სტუდენტს დააკისროს პირგასამტეხლო, ხოლო დავალიანებისა და პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში, შეუჩეროს სტატუსი. (ცვლილება №33 დამტკიცებული 2014 წლის 16 ივნისის აკადემიური საბჭოს № 25-14 ოქმით)

9. აკადემიური რეგისტრაცია

1. საბაკალავრო სწავლების სტუდენტისათვის აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს კომპონენტების არჩევას სემესტრის განმავლობაში საშუალოდ 30 კრედიტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 15 კრედიტისა (გარდა დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებისა).

2. სამაგისტრო სწავლების სტუდენტისათვის აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სტუდენტის მიერ მინიმუმ სამი კომპონენტის (18 კრედიტი) არჩევას.

3. საბაკალავრო სწავლების პირველ სემესტრში სტუდენტის აკადემიური რეგისტრაცია ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ. ყოველ მომდევნო სემესტრში, ისევე როგორც სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი აკადემიურ რეგისტრაციას ახდენს „ჩემი UG“-ის მეშვეობით პრეზიდენტების ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში. (ცვლილება №25 დამტკიცებული 2014 წლის 16 იანვრის აკადემიური საბჭოს №2-14 ოქმით).

3¹. გაუქმებულია. (ცვლილება №42 დამტკიცებული 2015 წლის 15 სექტემბრის აკადემიური საბჭოს № 24-15 ოქმით).

4. სტუდენტს უფლება აქვს სემესტრის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში შეცვალოს არჩევანი ან აირჩიოს დამატებითი კომპონენტი/კომპონენტები. დამატებით კომპონენტზე რეგისტრაციის წინაპირობაა შესაბამისი კრედიტების ღირებულების გადახდა.

5. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, სტუდენტი უფლებამოსილია რეგისტრაციისას აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო ან არჩევითი კომპონენტები, ძირითადი და დამატებითი სპეციალობები. სტუდენტისთვის უზრუნველყოფილია კომპონენტზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა რაოდენობის მრიცხველი.

6. განსაკუთრებულ შემთხვევებში, უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას შეცვალოს სტუდენტის მიერ არჩეული კომპონენტის დღე, დრო ან ლექტორი.

7. პროგრამის მოდიფიცირების შემთხვევაში სტუდენტს ეთვლება როგორც მოდიფიცირებამდე, ისე მოდიფიცირების შემდგომ არჩეული კომპონენტი. პროგრამების გაერთიანების შემთხვევაში, სტუდენტს ეთვლება როგორც გაერთიანებამდე ასევე გაერთიანების შემდეგ არჩეული კომპონენტები. (ცვლილება №36 დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2014 წლის 19 სექტემბერს № 40 -14 ოქმით)

8. თუ სტუდენტი სასწავლო წლის განმავლობაში რეგისტრირდება 60-ზე მეტ კრედიტზე, მან გაზაფხულის სემესტრზე აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში უნდა გადაიხადოს დამატებითი

კრედიტების ღირებულება. კრედიტის ღირებულება ითვლება წლიური სწავლის საფასურის 60-ზე გაყოფით.

9. ერასმუს მუნდუსის პროგრამაში ჩართული გაცვლითი სტატუსის მქონდე სტუდენტი საქართველოს უნივერსიტეტში არ გადაიხდის სწავლის საფასურს, ხოლო ინდივიდუალური მემორანდუმის საფუძველზე არსებული გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სტუდენტი იხდის საქართველოს უნივერსიტეტში აღიარებული კრედიტების რაოდენობის შესაბამის თანხას. (ცვლილება №41 დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2015 წლის 27 აგვისტოს №21-15 ოქმით)

თავი III. სტუდენტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა

10. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) ადმინისტრაციული რეგისტრაციის არ გავლა, მათ შორის დარიცხული პირგასამტეხლოს გადაუხდელობა;

ბ) აკადემიური რეგისტრაციის არ გავლა;

გ) გაუქმებულია. (ცვლილება №43 დამტკიცებული 2015 წლის 25 სექტემბრის აკადემიური საბჭოს № 26-15 ოქმით).

დ) ამ დებულების პირველი მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა.

2. გაუქმებულია. (ცვლილება №43 დამტკიცებული 2015 წლის 25 სექტემბრის აკადემიური საბჭოს № 26-15 ოქმით).

3. სტატუსის შეჩერების მოთხოვნით, სტუდენტი უნივერსიტეტის პრეზიდენტებს წარუდგენს წერილობით განცხადებას. სტატუსის შეჩერების მოთხოვნა სტუდენტს შეუძლია შესაბამისი სემესტრის ფინალურ გამოცდებამდე. (ცვლილება №43 დამტკიცებული 2015 წლის 25 სექტემბრის აკადემიური საბჭოს № 26-15 ოქმით).

4. პირადი განცხადებით სტუდენტის სტატუსის შეჩერებისას, სტუდენტს გადახდილი სწავლის საფასური შეენახება შემდეგ შემთხვევებში:

ა) სრულად, თუ აკადემიური შვებულების შესახებ უნივერსიტეტს განცხადებით მიმართა სასწავლო წლის დაწყებიდან პირველი ოთხი კვირის განმავლობაში;

ბ) წლიური სწავლის საფასურის ნახევარი, თუ აკადემიური შვებულების შესახებ უნივერსიტეტს განცხადებით მიმართა სასწავლო წლის დაწყებიდან ოთხი კვირის შემდეგ, მაგრამ ფინალურ გამოცდებამდე, ასევე გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე;

გ) წლიური სწავლის საფასურის მეოთხედი გაზაფხულის სემესტრის დაწყებიდან პირველი ოთხი კვირის განმავლობაში. (ცვლილება №43 დამტკიცებული 2015 წლის 25 სექტემბრის აკადემიური საბჭოს № 26-15 ოქმით).

5. მობილობის წესით ჩარიცხულ ან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხულ სტუდენტებზე ამ მუხლით გათვალისწინებული 4 კვირიანი ვადის ათვლა იწყება ჩარიცხვის ბრძანების თარიღიდან.

6. შენახული სწავლის საფასურის გამოყენება სტუდენტს შეეძლება საქართველოს უნივერსიტეტში სტატუსის აღდგენის შემთხვევაში.

7. სემესტრის მიმდინარეობისას სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტუდენტს უუქმდება შუალედური შეფასებები.

8. სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროის განმავლობაში, უნივერსიტეტი და სტუდენტი თავისუფლდებიან ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც წარმოიშვა სტატუსის შეჩერებამდე.

11. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. სტუდენტის სტატუსის აღდგენისთვის განცხადება მიიღება:

ა) შემოდგომის სემესტრიდან სწავლის გასაგრძელებლად - 20 მაისიდან 15 ივნისამდე; (ცვლილება №19 დამტკიცებული 2013 წლის 29 ივლისის აკადემიური საბჭოს №34-13 ოქმით)

ა)¹ იმ სტუდენტებს, რომელთაც სტატუსი შეუჩერდათ ადმინისტრაციული რეგისტრაციის არ გავლის გამო, ვალდებულნი არიან გადიხადონ სწავლის საფასური. (ცვლილება №42 დამტკიცებული 2015 წლის 15 სექტემბრის აკადემიური საბჭოს № 24-15 ოქმით).

ბ) გაზაფხულის სემესტრიდან სწავლის გასაგრძელებლად - 30 სექტემბრიდან 20 ნოემბრამდე;

გ) ამოღებულია. (ცვლილება №30 დამტკიცებული 2014 წლის 30 მაისის აკადემიური საბჭოს № 22-14 ოქმით)

1¹. სტუდენტის მიერ სტატუსის აღდგენის ვადის გადაცილებისას, სტატუსის აღდგენის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო და განსაზღვრავს სტატუსის აღდგენის პირობებს. (ცვლილება №42 დამტკიცებული 2015 წლის 15 სექტემბრის აკადემიური საბჭოს № 24-15 ოქმით).

2. სტუდენტის სტატუსის აღდგენის წინაპირობაა:

ა) სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, თუ სტატუსის შეჩერების საფუძველი ამ ვალდებულებათა შეუსრულებლობა იყო;

ა)¹ იმ სტუდენტებს, რომელთაც სტატუსი შეუჩერდათ ადმინისტრაციული რეგისტრაციის არ გავლის გამო, ვალდებულნი არიან გადიხადონ როგორც სწავლის საფასური, ასევე ადმინისტრაციული რეგისტრაციის არ გავლის გამო ამ დებულებით დაკისრებული სანქცია; (ცვლილება №33 დამტკიცებული 2014 წლის 16 ივნისის აკადემიური საბჭოს № 25-14 ოქმით)

ბ) აკადემიური შვებულების გაფორმების მიზეზის აღმოფხვრა, თუ სტუდენტს სტატუსი შეუჩერდა აკადემიური შვებულების გაფორმების გამო.

3. ამოღებულია. (ცვლილება №37 დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2014 წლის 3 ნოემბრის №46-14 ოქმით)

4. სტუდენტს სტატუსი არ აღუდგება, თუ არსებობს ამ დებულებით გათვალისწინებული სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

5. სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან არაუმეტეს 5 წლისა. სხვა პროგრამაზე აღდგენის შემთხვევაში, კრედიტების აღიარების კომისიის მიერ სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის საფუძველზე, შეიძლება განისაზღვროს დამატებითი კომპონენტების გავლის აუცილებლობა.

11¹. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი

1. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი – საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, რომელიც გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აგროვებს კრედიტების განსაზღვრულ რაოდენობას პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი არ ითვლება უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო რაოდენობაში. (ცვლილება №41 დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2015 წლის 27 აგვისტოს №21-15 ოქმით)

12. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) სტუდენტის სტატუსის 5 წელზე მეტი ხნით შეჩერება;

- ბ) სწავლის შედეგების მიუღწევლობა;
- გ) შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
- დ) პირადი განცხადება;
- ე) დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილება;
- ვ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის წესით გადასვლა.

თავი IV. სასწავლო პროცესი

13. პროგრამის ხანგრძლივობა

საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს (8 სემესტრს), ხოლო სამაგისტრო - 120 კრედიტს (4 სემესტრს). სწავლების ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს ბაკალავრიატში - 12, მაგისტრატურაში - 10 სემესტრამდე.

14. სწავლების ენა

სწავლების ენაა ქართული. ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან ცალკეულ კომპონენტში კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით სწავლება მიმდინარეობს უცხოურ ენაზეც. ძირითადი უცხოური ენა ინგლისურია.

15. სასწავლო პროცესის მიმდინარეობა

1. სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად.
2. სასწავლო პროცესი ბაკალავრიატში ძირითადად მიმდინარეობს 09:00 სთ-დან 18:50 სთ-მდე, ხოლო მაგისტრატურაში - 19:00 სთ-დან 21:15 სთ-მდე.
3. სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს:
 - ა) მარიამობას - 28 აგვისტოს;
 - ბ) გიორგობას - 23 ნოემბერს;
 - გ) დამოუკიდებლობის დღეს - 26 მაისს;
 - დ) ახალი წლის პერიოდში - 30 დეკემბრიდან 7 იანვრის ჩათვლით;
 - ე) აღდგომის კვირას - აღდგომის წინა ოთხშაბათიდან მომდევნო კვირის სამშაბათის ჩათვლით;
 - ვ) ივნის-აგვისტოს, (ცვლილება №30 დამტკიცებული 2014 წლის 30 მაისის აკადემიური საბჭოს № 22-14 ოქმით)
4. სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფებში განისაზღვრება 25, გამონაკლისის სახით - 50 სტუდენტით. ჯგუფში 10-ზე ნაკლები სტუდენტის დარეგისტრირების შემთხვევაში, უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას არ გახსნას ჯგუფი.

16. ამოღებულია (ცვლილება №30 დამტკიცებული 2014 წლის 30 მაისის აკადემიური საბჭოს № 22-14 ოქმით)

17. სტუდენტის დატვირთვის კრედიტებით გაანგარიშება

1. სტუდენტის დატვირთვა აისახება კრედიტებში. ერთი კრედიტი 25 ასტრონომიული საათია. სტუდენტის დატვირთვა განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სილაბუსით და მოიცავს სააუდიტორიო დატვირთვას (ლექცია და სემინარი), სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობასა და ცოდნის შეფასების კომპონენტების მომზადება-ჩაბარებას (ყოველკვირეული გამოკითხვა – ქვიზი, შუალედური გამოკითხვა, პრეზენტაცია, დასკვნითი გამოცდა).(ცვლილება №31 დამტკიცებული 2014 წლის 6 ივნისის აკადემიური საბჭოს №23-14 ოქმით)

¹ სააუდიტორიო დატვირთვა შედგება ლექციისგან, რომლის მიმდინარეობისას ხდება ახალი თეორიული მასალის გაცნობა და სემინარისაგან, რომლის დროსაც მიმდინარეობს დისკუსია და ყოველკვირეული გამოკითხვა (ქვიზი).(ცვლილება №31 დამტკიცებული 2014 წლის 6 ივნისის აკადემიური საბჭოს №23-14 ოქმით).

2. შესვენების ხანგრძლივობა ბაკალავრიატში ყოველ 60 წუთში შეადგენს – 10 წუთს; მაგისტრატურაში – 15 წუთს, (ცვლილება №31 დამტკიცებული 2014 წლის 6 ივნისის აკადემიური საბჭოს №23-14 ოქმით).
2¹ ლექცია/სემინარი შეიძლება იყოს: ა) 120 წუთიანი (ლექცია-80 წუთი, სემინარი-40 წუთი). ბ) 180 წუთიანი (ლექცია-120 წუთი, სემინარი-60 წუთი). გ) 240 წუთიანი (ლექცია-120 წუთი, სემინარი-120 წუთი)(ცვლილება №31 დამტკიცებული 2014 წლის 6 ივნისის აკადემიური საბჭოს №23-14 ოქმით).

18. პროგრამის კომპონენტის ელემენტები

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტი შედგება 19 კვირაზე გათვლილი შემდეგი ელემენტებისგან:

- ა) ლექცია/სემინარი - 1-ლი - მე-7, მე-9 - მე-14 კვირები, (ცვლილება №31 დამტკიცებული 2014 წლის 6 ივნისის აკადემიური საბჭოს №23-14 ოქმით).
- ბ) ქვიზი - მე-2 - მე-7, მე-9 - მე-14 კვირები,(ცვლილება №22 დამტკიცებული 2013 წლის 22 ნოემბრის აკადემიური საბჭოს №45-13 ოქმით)
- გ) შუალედური გამოცდა მე-8 კვირას (აღდგენა დაიშვება მე-9 კვირას),(ცვლილება №22 დამტკიცებული 2013 წლის 22 ნოემბრის აკადემიური საბჭოს №45-13 ოქმით)
- დ) ამოღებულია (ცვლილება №22 დამტკიცებული 2013 წლის 22 ნოემბრის აკადემიური საბჭოს №45-13 ოქმით).
- დ)¹ შემაჯამებელი სემინარი - მე-15 კვირას; (ცვლილება №22 დამტკიცებული 2013 წლის 22 ნოემბრის აკადემიური საბჭოს №45-13 ოქმით)
- ე) რეფერატის/წერიტი ნაშრომის ჩაბარება მე-14 კვირას;(ცვლილება №21 დამტკიცებული 2013 წლის 2 ოქტომბრის აკადემიური საბჭოს №41-13 ოქმით)
- ვ) რეფერატი ან ხვა აქტივობა, რომელიც შეიძლება ითვალისწინებდეს პრეზენტაციას/დასკვნით გამოცდას მე-16-მე-19 კვირას.(ცვლილება №35 დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2014 წლის 1 აგვისტოს №34-14 ოქმით)

2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტი შედგება 19 კვირაზე გათვლილი შემდეგი ელემენტებისგან:

- ა) ლექცია/სემინარი - 1-ლი - მე-7, მე-9 - მე-15 კვირები,(ცვლილება №31 დამტკიცებული 2014 წლის 6 ივნისის აკადემიური საბჭოს №23-14 ოქმით).
- ბ) ქვიზი - მე-2 - მე-7, მე-10 - მე-15 კვირები,
- გ) შუალედური გამოცდა მე-8 კვირას (აღდგენა დაიშვება მე-9 კვირას),
- დ) რეფერატის/წერიტი ნაშრომის ჩაბარება მე-14 კვირას; შეფასება - 16 კვირას. (ცვლილება #8 დამტკიცებული 2013 წლის 16 იანვრის აკადემიური საბჭოს #1-13 ოქმით)
- ე) რეფერატი ან სხვა აქტივობა, რომელიც შეიძლება ითვალისწინებდეს პრეზენტაციას/დასკვნითი გამოცდას მე-16-მე-19 კვირას (ცვლილება დამტკიცებული 2013 წლის 2 ოქტომბრის აკადემიური საბჭოს #41-13 ოქმით).

თავი V. სტუდენტის ცოდნის შეფასება

19. შეფასების სახეები

1. სწავლის უკეთეს შედეგზე გასასვლელად გამოიყენება ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტური სისტემა, რომელიც სემესტრის განმავლობაში სტუდენტის ცოდნის ეტაპობრივად შეფასების საშუალებას იძლევა.

2. შეფასების ელემენტებია:

- ა) ყოველკვირეული შეფასება (ქვიზი),

ბ) ქვეპუნქტი ამოღებულია (ცვლილება #10 დამტკიცებული 2013 წლის 24 იანვრის აკადემიური საბჭოს #3-13 ოქმით)

გ) რეფერატი ან სხვა აქტივობა, რომელიც შეიძლება ითვალისწინებდეს პრეზენტაციას(ცვლილება #21 დამტკიცებული 2013 წლის 2 ოქტომბრის აკადემიური საბჭოს #41-13 ოქმით)

დ) შუალედური გამოცდა,

ე) დასკვნითი გამოცდა.

3. ქვიზის მიზანია, სტუდენტმა თანაბრად აითვისოს ლექტორის მიერ ყოველკვირეულად მიწოდებული მასალა და სისტემატურად იმუშაოს საგანზე. ამ მიზნიდან გამომდინარე, ის სხვადასხვა სახისაა:

ა) წერითი გამოკითხვა,

ბ) საშინაო დავალება,

გ) ზეპირი გამოკითხვა და სხვა აქტივობა, რომელიც ცოდნის ყოველკვირეული შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

3¹. ქვიზის შეფასების კომპონენტები: (ცვლილება №37¹ დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 ნოემბრის №49-14 ოქმით)

ფაქტობრივი მასალის ცოდნა

1. • პასუხი ზუსტი და ამომწურავია, ტერმინოლოგია მართებულია 100%
2. • პასუხი სწორია, მაგრამ არა ამომწურავი, ტერმინოლოგიის სიზუსტე დაცულია 75%
3. • პასუხი არაა ამომწურავი, ტერმინოლოგიის სიზუსტე დარღვეულია 50%
4. • პასუხი ფრაგმენტულია 25%
5. • პასუხი არასწორია 0%

ფაქტობრივი მასალის გამოყენება რეალურ და კონკრეტულ სიტუაციებში

6. • პასუხი ზუსტი და ამომწურავია, ტერმინოლოგია მართებულია 100%
7. • პასუხი სწორია, მაგრამ არა ამომწურავი, ტერმინოლოგიის სიზუსტე დაცულია 75%
8. • პასუხი არაა ამომწურავი, ტერმინოლოგიის სიზუსტე დარღვეულია 50%
9. • პასუხი ფრაგმენტულია 25%
10. • პასუხი არასწორია 0%

მიღებული შედეგების ანალიზი

11. • პასუხი ზუსტი და ამომწურავია, ტერმინოლოგია მართებულია 100%
12. • პასუხი სწორია, მაგრამ არა ამომწურავი, ტერმინოლოგიის სიზუსტე დაცულია 75%
13. • პასუხი არაა ამომწურავი, ტერმინოლოგიის სიზუსტე დარღვეულია 50%
14. • პასუხი ფრაგმენტულია 25%
15. • პასუხი არასწორია 0%

4. ლექცია/სემინარის გაცდენის შემთხვევაში ყოველკვირეული შეფასება (ქვიზი) აღდგენას არ ექვემდებარება. საბაკალავრო სწავლების მე-7 სემესტრიდან სტუდენტი, რომლის შედეგების საშუალოს კოეფიციენტი შეადგენს 3,5-ს, უფლებამოსილია სკოლის დირექტორთან შეთანხმებით განთავისუფლდეს ცოდნის ყოველკვირეული შეფასების კომპონენტებისგან და მოიპოვოს შესაბამისი ქულები სკოლის სამეცნიერო მუშაობაში მონაწილეობით.(ცვლილება №31 დამტკიცებული 2014 წლის 6 ივნისის აკადემიური საბჭოს №23-14)

5. პუნქტი ამოღებულია. (ცვლილება #10 დამტკიცებული 2013 წლის 24 იანვრის აკადემიური საბჭოს #3-13 ოქმით)

6. კვლევისა და კომუნიკაციის უნარის განვითარების მიზნით სტუდენტი ამზადებს რეფერატს ან სხვა აქტივობას, რომელიც შეიძლება ითვალისწინებდეს პრეზენტაციას, რომელსაც ატვირთავს „ჩემი UG“-ის შესაბამის გვერდზე და ახდენს მის პრეზენტაციას. სტუდენტი აღნიშნულ კომპონენტში

გათვალისწინებულ შეფასებას მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ მოახდენს ორივეს : რეფერატის ატვირთვას და მის პრეზენტაციას. სტუდენტი თემას ირჩევს „ჩემი UG“-ის სარეფერატო თემების ჩამონათვალიდან, რომელსაც ახლავს სახელმძღვანელო ლიტერატურის ნუსხა. სარეფერატო თემის ატვირთვა ხდება მე-14 კვირას. რეფერატი ფასდება შესაბამისი კომპონენტისთვის განკუთვნილი ქულის 3/5-ით, ხოლო ია – 2/5-ით. სილაბუსით დასაშვებია კვლევისა და კომუნიკაციის უნარის განვითარებაზე მიმართული ალტერნატიული დავალების გათვალისწინება. პირველი-მეორე სასწავლო წლის სტუდენტებისთვის რეფერატი გულისხმობს კომპონენტის ხელმძღვანელის მიერ დასახელებული ლიტერატურის დამუშავება-რეფერირებას, ხოლო მესამე-მეოთხე სასწავლო წლის სტუდენტებისა და მაგისტრანტებისათვის ასევე კვლევით კომპონენტს. (№№27 დამტკიცებული 2014 წლის 14 თებერვლის აკადემიური საბჭოს № 6-14 ოქმით)

7. შუალედური გამოცდის მიზანია სტუდენტის ცოდნის ეტაპობრივი შეფასება. როგორც საბაკალავრო ასევე სამაგისტრო პროგრამაზე ტარდება ერთი შუალედური გამოცდა. (ცვლილება №22 დამტკიცებული 2013 წლის 22 ნოემბრის აკადემიური საბჭოს №45-13 ოქმით)

8. კომპონენტის ათვისების საბოლოო შეფასება ხორციელდება დასკვნითი გამოცდით, რომელიც გულისხმობს კომპონენტში სემესტრის განმავლობაში მიღებული ცოდნისა და უნარების სრულ შეფასებას. გამოცდა არის წერიითი/ელექტრონული, თუმცა კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება შეიცავდეს ზეპირ ან პრაქტიკულ კომპონენტსაც.

9. შუალედური და დასკვნითი გამოცდა მოიცავს მინიმუმ სამ განსხვავებულ კომპონენტს, მათ შორის:

- ა) ტესტი;
- ბ) თემა;
- გ) განსაზღვრება;
- დ) ამოცანა;
- ე) თეორემა, ასევე მისი დამტკიცება;
- ვ) ფორმულა, ასევე მისი გამოყვანა;
- ზ) შემთხვევის (კაზუსის, ქეისის) განხილვა;
- თ) პრაქტიკული დავალება;
- ი) ზეპირი კომპონენტი.

10. სტუდენტი მონაწილეობს პროგრამის და/ან პროგრამის კომპონენტის, სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის შეფასებაში, რისთვისაც სემესტრულად ავსებს ელექტრონულ შეფასების კითხვარს.

11. ამოღებულია (ცვლილება №19 დამტკიცებული 2013 წლის 29 ივლისის აკადემიური საბჭოს №34-13 ოქმით)

20. გამოცდის ადმინისტრირება

1. გამოცდის ადმინისტრირებას ახორციელებს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური.
2. გამოცდების ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე, სტუდენტს ეცნობება გამოცდის თარიღი, დრო, აუდიტორია და მისთვის განკუთვნილი ადგილი.
3. ზეპირი კომპონენტის არსებობის შემთხვევაში, გამოცდას ატარებს კომისია შესაბამისი სკოლის დირექტორის ან დეპარტამენტის ხელმძღვანელის თავმჯდომარეობით. კომისია შედგება მინიმუმ სამი წევრისგან.
4. შუალედურ გამოცდას ეთმობა მინიმუმ ორი ასტრონომიული საათი, ხოლო დასკვნითს - სამი.
5. სტუდენტის მიერ დამხმარე მასალის (მაგ.: სახელმძღვანელო, კოდექსი) გამოყენების შესაძლებლობა აღინიშნება შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში და საგამოცდო ნაშრომში.
6. კანცლერის ნებართვით გამოცდაზე დასწრების უფლება აქვს სტუდენტური თვითმმართველობის წევრს ან სხვა დაინტერესებულ პირს.

21. გამოცდაზე დაშვების პირობები

1. სტუდენტის გამოცდაზე დაშვების პირობაა მითითებულ საგამოცდო დროს უნივერსიტეტში გამოცხადება, საიდენტიფიკაციო ბარათის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარმოდგენა და მისთვის განკუთვნილი ადგილის დაკავება.

2. დასკვნით გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

22. გამოცდაზე ქცევის წესები

1. საგამოცდო პროცესის მიმდინარეობისას არ არის ნებადართული:

- ა) საგამოცდო ნაშრომში სახელის, გვარის ან რაიმე სახის მინიშნება სტუდენტის პიროვნების ამოსაცნობად;
- ბ) საგამოცდო საკითხების გაცნობა საგამოცდო დროის დაწყებამდე;
- გ) საუბარი ან სხვა სახის მინიშნება;
- დ) ნებისმიერი დამხმარე საშუალების გამოყენება;
- ე) საგამოცდო ნაშრომის ჩაბარებამდე საგამოცდო აუდიტორიის დატოვება;
- ვ) ჩართული მობილური.

2. პირველი პუნქტით განსაზღვრული ქმედებისას სტუდენტი იხსნება გამოცდიდან და ფორმდება ოქმი. ნაშრომი არ ფასდება. სტუდენტი კარგავს ამ გამოცდის აღდგენის უფლებას.

3. შეკითხვის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა აიწიოს ხელი და დამკვირვებლის მისვლის შემდგომ დასვას შეკითხვა.

4. გამოცდის მიმდინარეობისას ნებადართულია წყლისა და მედიკამენტების, ასევე სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის უფროსის მიერ გამოცდის საჭიროებებიდან გამომდინარე დაშვებული სხვა ნივთებისა თუ სასწავლო მასალის გამოყენება.

23. გამოცდის აღდგენა

1. გამოცდის აღდგენა ტარდება მხოლოდ ერთხელ გამოცდის აღდგენის კვირაში. განსაკუთრებულ შემთხვევებში, გამოცდის აღდგენა დასაშვებია მომდევნო საგამოცდო პერიოდის ფარგლებში. დასკვნითი გამოცდის აღდგენის ვადა არ შეიძლება სცდებოდეს სასწავლო სემესტრის დასრულების ვადას. დასკვნით და შესაბამისი გამოცდის აღდგენას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა. აღდგენის ცხრილი სტუდენტს ეცნობება „ჩემი UG“-ის საგამოცდო ცხრილის მეშვეობით გამოცდის ჩატარებამდე მინიმუმ ორი დღით ადრე. (ცვლილება №19 დამტკიცებული 2013 წლის 29 ივლისის აკადემიური საბჭოს №34-13 ოქმით)

2. ავადმყოფობის გამო გამოცდის გაცდენის შემთხვევაში, სტუდენტმა „ჩემი UG“-ის მეშვეობით შესაბამისი გამოცდის დამთავრებამდე უნდა მიმართოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს. მან უნდა მიუთითოს ავადმყოფობის პერიოდში მისი ადგილსამყოფელის მისამართი, საკონტაქტო პირი, ტელეფონის ნომერი, როგორც საკუთარი ასევე მის მიერ მითითებული საკონტაქტო პირის. წინააღმდეგ შემთხვევაში განცხადება არ განიხილება. ავადმყოფობა საპატიო მიზეზად ჩაითვლება, თუ ის დადასტურებულია უნივერსიტეტის ექიმის მიერ. დაგვიანებით დაწერილი განცხადება არ განიხილება. (ცვლილება №16 დამტკიცებული 2013 წლის 5 აპრილის აკადემიური საბჭოს №17-13 ოქმით)

3. გამოცდის სხვა მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, გამოცდის აღდგენის უფლების მოსაპოვებლად სტუდენტმა „ჩემი UG“-ის მეშვეობით უნდა მიმართოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს არაუგვიანეს გამოცდის ჩატარების მომდევნო სამუშაო დღისა და გამოცდის აღდგენამდე წარმოადგინოს საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტი. გამოცდის გაცდენის საპატიო მიზეზებია: ავადმყოფობა, მშობიარობა, ოჯახის წევრის გარდაცვალება, მაგისტრანტების სამსახურებრივი მივლინება ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა. გამოცდის გაცდენის მიზეზის საპატიოდ ჩათვლის შემთხვევაში, სტუდენტი გამოცდას აღადგენს გადასახადის გადახდის გარეშე.

4. სტუდენტი, რომელიც გამოირჩევა მნიშვნელოვანი წარმატებებით საზოგადოებრივი საქმიანობის, სპორტის ან ხელოვნების სფეროში, კერძოდ, თუ სტუდენტი არის საქართველოს ან საერთაშორისო

ტურნირების, საერთაშორისო კონკურსების, ფესტივალების გამარჯვებული, პრიზიორი, ლაურიატი და სხვა შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში სარგებლობს იმ გამოცდის უფასოდ აღდგენის უფლებით, რომლის გაცდენის მიზეზი შესაბამის ღონისძიებაში მონაწილეობაა. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს გამოცდამდე ერთი სამუშაო დღით ადრე და განცხადებას დაურთოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

5. არასაკმაყოფილო მიზეზით გაცდენილი გამოცდის აღდგენის შემთხვევაში სტუდენტი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს მიმართავს არაუგვიანეს გამოცდის ჩატარების მომდევნო ორი სამუშაო დღისა. განცხადებას უნდა დაერთოს გამოცდის აღდგენის საფასურის გადახდის ქვითარი. გამოცდის აღდგენის საფასური დგინდება პრეზიდენტების აქტით. (ცვლილება №25 დამტკიცებული 2014 წლის 16 იანვრის აკადემიური საბჭოს №2-14 ოქმით).

5¹. ექიმის მიერ განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში გამოცდა აღდგენას არ ექვემდებარება. (ცვლილება №17 დამტკიცებული 2013 წლის 25 აპრილის აკადემიური საბჭოს №20-13 ოქმით)

24. გამოცდის მიმდინარეობის გასაჩივრება

გამოცდის მიმდინარეობით უკმაყოფილების შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია გამოცდის ჩატარების დღეს „ჩემი UG“-ის მეშვეობით მიმართოს კანცლერს. კანცლერი განიხილავს სტუდენტის საჩივარს. სტუდენტის საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გამოცდების აღდგენის კვირაში დაინიშნება ხელახალი გამოცდა და წინა გამოცდის შედეგები ანულირდება. კანცლერის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

25. გამოცდის შეფასების გასაჩივრება

სტუდენტი უფლებამოსილია გაეცნოს საგამოცდო ნაშრომს და არაუგვიანეს გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან მესამე დღისა „ჩემი UG“-ის მეშვეობით განცხადებით მიმართოს მისი სკოლის დირექტორს. სტუდენტმა განცხადებაში უნდა მიუთითოს თუ რომელ საკითხს ან შეფასების რა ნაწილის აპროტესტებს. ზოგადი პროტესტი არ განიხილება. განცხადების მიღებიდან ერთი კვირის ვადაში სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს განცხადების განხილვასა და შედეგების სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურისათვის მიწოდებას. (ცვლილება №25 დამტკიცებული 2014 წლის 16 იანვრის აკადემიური საბჭოს №2-14 ოქმით).

26. შეფასების სისტემა

1. უნივერსიტეტში მოქმედებს 100 ქულიანი (100%-იანი) შეფასების სისტემა.
2. კომპონენტი დაძლეულია 51 ქულის (51%) მიღების შემთხვევაში.
3. საბაკალავრო პროგრამის კომპონენტი ფასდება:

ა) ყოველკვირეული შეფასება (ქვიზი) - 3 ქულა / 36%
(ცვლილება №22 დამტკიცებული 2013 წლის 22 ნოემბრის აკადემიური საბჭოს №45-13 ოქმით)

ბ) ქვეპუნქტი ამოღებულია. (ცვლილება #10 დამტკიცებული 2013 წლის 24 იანვრის აკადემიური საბჭოს #3-13 ოქმით)

გ) რეფერატი ან სხვა აქტივობა, რომელიც შეიძლება ითვალისწინებდეს პრეზენტაციას - 10 ქულა / 10%;
(ცვლილება #21 დამტკიცებული 2013 წლის 2 ოქტომბრის აკადემიური საბჭოს #41-13 ოქმით)

დ) შუალედური გამოცდა - 24 ქულა / 24%;
(ცვლილება №22 დამტკიცებული 2013 წლის 22 ნოემბრის აკადემიური საბჭოს №45-13 ოქმით)

ე) ამოღებულია (ცვლილება №22 დამტკიცებული 2013 წლის 22 ნოემბრის აკადემიური საბჭოს №45-13 ოქმით)

ვ) დასკვნითი გამოცდა - 30 ქულა / 30%.

4. სამაგისტრო პროგრამის კომპონენტი ფასდება:

ა) ყოველკვირეული შეფასება (ქვიზი) - 2 ქულა / 24%;

(ცვლილება №19 დამტკიცებული 2013 წლის 29 ივლისის აკადემიური საბჭოს №34-13 ოქმით)

ბ) შუალედური გამოცდა - 25 ქულა/25%;

გ) რეფერატი ან სხვა აქტივობა, რომელიც შეიძლება ითვალისწინებს პრეზენტაციას - 16 ქულა/16%;

(ცვლილება №21 დამტკიცებული 2013 წლის 2 ოქტომბრის აკადემიური საბჭოს №41-13 ოქმით)

დ) დასკვნითი გამოცდა - 35 ქულა/35%.

კომპონენტების შეფასებისას ქულების გადანაწილების განსხვავებულ წესს სკოლის საბჭოს შუამდგომლობით განსაზღვრავს აკადემიური საბჭო.

5. დასკვნითი გამოცდის ჩაბარების მოთხოვნა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტისთვის გამოყოფილი მაქსიმალური (30) ქულიდან 18-ის (60%) ხოლო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტისთვის გამოყოფილი მაქსიმალური (35) ქულიდან 24,5-ის (70%) მიღება.

6. სტუდენტი, რომელმაც ვერ მიიღო დასკვნითი გამოცდის ჩაბარებისათვის დადგენილი მინიმალური ქულა, მაგრამ შეაფასებათა კომპონენტების ერთობლიობით (ქვიზი, შუალედური გამოცდა, პრეზენტაცია) უგროვდება 41 ქულა და ზევით, დაიშვება დამატებით გამოცდაზე. (ცვლილება №24 დამტკიცებული 2013 წლის 12 დეკემბრის აკადემიური საბჭოს №50-13 ოქმით)

7. სტუდენტი, რომელმაც მიიღო დასკვნითი გამოცდის ჩაბარებისათვის დადგენილი მინიმალური ქულა, მაგრამ ვერ დააგროვა 51 ქულა, მაგრამ დააგროვა მინიმუმ 41 ქულა, დაიშვება დამატებით გამოცდაზე.

8. დამატებითი გამოცდა დაუშვებელია ჩატარდეს ძირითადი გამოცდის ჩატარებიდან 10 დღეზე ადრე. გამოცდაზე გასვლის მსურველმა განცხადებით უნდა მიმართოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა. გამოცდის შედეგების გამოქვეყნების დღე ითვლება პირველ დღედ.

9. კომპონენტში სტუდენტის შეფასებისას საბოლოო ქულა მრგვალდება მთელ რიცხვამდე. ხუთი მეათედი ან ხუთი მეასედი მრგვალდება მეტობით.

10. ცოდნის შემოწმების შედეგები მონაცემთა ბაზაში აისახება შემდეგ ვადებში:

ა) ყოველკვირეული შეფასების შედეგები ხუთ სამუშაო დღეში,

ბ) შუალედური გამოცდის შედეგები ათ სამუშაო დღეში,

გ) დასკვნითი გამოცდის შედეგები შვიდ სამუშაო დღეში,

დ) პრეზენტაციის შედეგები ორ სამუშაო დღეში. (ცვლილება №8 დამტკიცებული 2013 წლის 16 იანვრის აკადემიური საბჭოს №1-13 ოქმით)

11. სტუდენტის პრეტენზია შეფასების არარსებობაზე მიიღება შედეგების ასახვის ვადის გასვლიდან 10 დღის ვადაში.

12. სტუდენტი შეფასებისას ინდივიდუალურად იღებს ინფორმაციას მიღწეული შედეგების ნაკლოვანებების და შედეგის გაუმჯობესების გზების შესახებ.

27. შედეგების საშუალოს (ცვლილება №41 დამტკიცებული 2015 წლის 27 აგვისტოს აკადემიური საბჭოს №21-15 ოქმით)

1. შედეგების საშუალო ქულა დგინდება შემდეგნაირად:

ა) შესაბამის პერიოდში არჩეულ ყოველ კომპონენტში (საგანი, ლაბორატორია, ნაშრომი,...) მიღებული ქულისა და კრედიტის ნამრავლების ჯამი იყოფა ამავე კომპონენტების კრედიტების ჯამზე. თითოეული კომპონენტი იანგარიშება შესაბამის პერიოდში (წლიურად, სემესტრულად) ერთხელ, მაქსიმალური შეფასებით.

გამოსათვლელი ფორმულა:

$$\frac{\sum Kn * Qn}{\sum Kn},$$

სადაც Kn არის კომპონენტის კრედიტი, Qn მიღებული ქულა, n არჩეული კომპონენტების რაოდენობა.

თითოეული კომპონენტში მიღებული Q_i ქულა ფორმულაში მონაწილეობს ერთხელ, შესაბამისი პერიოდში (წლიურად, სემესტრულად) მიღებული მაქსიმალური შეფასებით.

2. შედეგების საშუალო ქულა გამოითვლება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს.

3. თუ შედეგების საშუალო არანაკლებ 91-ია სტუდენტს ეძლევა სტიპენდია. სტიპენდიის მიღების წინაპირობაა წლიური 60 კრედიტის დაგროვება და სტუდენტის სტატუსის შენარჩუნება საქართველოს უნივერსიტეტში. სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტიპენდია გაიცემა სტატუსის აღდგენის შემდეგ.

4. სწავლის შედეგები მიღწეულია თუ:

ა) სტუდენტმა დაძლია ყველა კომპონენტი;

ბ) - სტუდენტის შედეგების საშუალო არანაკლებ 51-ია.

5. თუ შედეგების საშუალო 51-ზე ნაკლებია, (სანამ უკანასკნელი აკადემიური წლის ჩათვლით გავლილი/ჩათვლილი კომპონენტების კრედიტების ჯამი არ აღემატება 60-ს) სტუდენტი ექცევა „გამოსაცდელი ვადის“ რეჟიმში და ეძლევა დამატებითი წელი შედეგების საშუალო კოეფიციენტის გასაუმჯობესებლად. გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ, შედეგების საშუალო ითვლება გავლილი კომპონენტების შესაბამისად, ხოლო სწავლის შედეგები მიუღწეველია, თუ შედეგების საშუალო 51-ზე ნაკლებია.

27¹. შედეგების საშუალო (წლიური, სემესტრული) კოეფიციენტი (GPA)

(ცვლილება №41 დამტკიცებული 2015 წლის 27 აგვისტოს აკადემიური საბჭოს №21-15 ოქმით)

1. შედეგების საშუალოს კოეფიციენტი დგინდება შემდეგნაირად:

51-ზე ნაკლები საშუალო ქულის მქონე სტუდენტის (GPA) 0-ის ტოლია. სტუდენტთა მიერ დაგროვებული (51-ზე მეტი) ქულებით დება რანჟირებული სია (დალაგებული კლებადობით). თითოეული ქულა ხვდება გარკვეულ პროცენტულ შუალედში. რანჟირებული სიის თავში მოქცეული 4 % ცხრილში მოცემული პირველი გრაფის (97-100 (%)) რანგის) შესატყვისი იქნება, შემდეგი 3% 94-96 (%) რანგის, და ა.შ. სტუდენტს ამ განაწილების მიხედვით ენიჭება (წლიური, სემესტრული) საუნივერსიტეტო შეფასება და შედეგების საშუალოს საშუალო კოეფიციენტი (GPA).

(შენიშვნა: 51-ზე მეტი საშუალო ქულის მქონე სტუდენტთაგან უდიდესი ქულის მქონე მოხვდება 97-100 პროცენტულ რანგში და მას ცხრილის მიხედვით მიენიჭება საუნივერსიტეტო შეფასება A+, ხოლო მისი GPA იქნება 4,00-ის ტოლი.

51-ზე მეტი საშუალო ქულის მქონე სტუდენტთაგან უმცირესი ქულის მქონე მოხვდება 51-60 პროცენტულ რანგში და მას ცხრილის მიხედვით მიენიჭება საუნივერსიტეტო შეფასება E, ხოლო მისი GPA იქნება 1,00-ის ტოლი.)

პროცენტული რანგი	საუნივერსიტეტო შეფასება	შედეგების საშუალოს კოეფიციენტი (GPA)
97-100	A+	4,00
94-96	A	3,75
91-93	A-	3,50
87-90	B+	3,25
84-86	B	3,00
81-83	B-	2,75
77-80	C+	2,50
74-76	C	2,25
71-73	C-	2,00
67-70	D+	1,75
64-66	D	1,50

61-63	D-	1,25
51-60	E	1,00

2. შედეგების საშუალო კოეფიციენტი გამოითვლება ყოველი წლის, სემესტრის ბოლოს.

3. 2015-2016 სასწავლო წლიდან ჯგუფები იქმნება ბოლო სემესტრის მიხედვით გამოთვლილი სწავლის შედეგების საშუალო კოეფიციენტის (GPA) გათვალისწინებით. სტუდენტებისათვის, რომელთა ბოლო სემესტრის მიხედვით გამოთვლილი სწავლის შედეგების საშუალო კოეფიციენტი (GPA) 2,00 (C-) და მეტია, იქმნება ცალკე ჯგუფები, ხოლო სტუდენტებისათვის, რომელთა ბოლო სემესტრის მიხედვით გამოთვლილი სწავლის შედეგების საშუალო კოეფიციენტი (GPA) 2,00 (C-)-ზე ნაკლებია იქმნება ცალკე ჯგუფები. მობილობით გადმოსული სტუდენტებისათვის GPA გამოითვლება საშუალო არითმეტიკულით. ამ პუნქტით დადგენილი ჯგუფების შექმნის წესის შეცვლის უფლება აქვს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის უფროსს, თუ სტუდენტთა რაოდენობა მცირეა და ცალ-ცალკე ჯგუფების შექმნა შეუძლებელია ან არსებობს სხვა ობიექტური გარემოება.

4. ერთიანი ეროვნული გამოცდებით/საერთო სამაგისტრო გამოცდებით ჩარიცხულ პირველ კურსელთა ჯგუფები პირველი სემესტრისათვის იქმნება გამოცდებზე მიღებული საბოლოო სკალირებული ქულების გათვალისწინებით.

28. შეფასების თავსებადობა

საუნივერსიტეტო შეფასების თავსებადობა შედეგების საშუალოს კოეფიციენტსა და საქართველოში მოქმედი ზოგადი შეფასება

შედეგების საშუალო	შედეგების საშუალოს კოეფიციენტი (GPA)	საუნივერსიტეტო შეფასება	საქართველოში მოქმედი ზოგადი შეფასება	
97-100	4,00	A+	A	ფრიადი
94-96	3,75	A		
91-93	3,50	A-		
87-90	3,25	B+	B	ძალიან კარგი
84-86	3,00	B		
81-83	2,75	B-		
77-80	2,50	C+	C	კარგი
74-76	2,25	C		
71-73	2,00	C-		
67-70	1,75	D+	D	დამაკმაყოფილებელი
64-66	1,50	D		
61-63	1,25	D-		
51-60	1,00	E	E	საკმარისი
უარყოფითი შეფასება				
41-50		FX	FX	ვერ ჩააბარა
<40		F	F	ჩაიჭრა

თავი VI . საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვა და შეფასება

(ცვლილება №11 დამტკიცებული 2013 წლის 20 თებერვლის აკადემიური საბჭოს №9-13 ოქმით)

28.1. საკვალიფიკაციო ნაშრომი

1. სტუდენტს უფლება აქვს შეასრულოს საბაკალავრო ნაშრომი სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე.

2. სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის შესრულების უფლება აქვს თუ მას უკვე შესრულებული აქვს 78 კრედიტი.

28.2. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბჭო

1. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბჭო იქმნება სკოლის საბჭოს მიერ და შედგება საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელის, ექსპერტის და საბჭოს თავმჯდომარისაგან.

2. მხოლოდ უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვს უფლება უხელმძღვანელოს სტუდენტის მიერ საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულებას.(ცვლილება №13 დამტკიცებული 2013 წლის 1მარტის აკადემიური საბჭოს №12-13 ოქმით)

3. საბაკალავრო ნაშრომის ექსპერტად შეირჩევა პირი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიდან, ხოლო მაგისტრანტის ნაშრომისთვის ექსპერტად დასაშვებია სხვა პირის მოწვევაც. თანახელმძღვანელი შესაძლებელია შეირჩეს უნივერსიტეტის მოწვეული პერსონალიდან.

4. ნაშრომის მომზადებაში სტუდენტს ეხმარება ნაშრომის ხელმძღვანელი. სტუდენტს/სტუდენტებს და ხელმძღვანელს შორის იმართება ყოველკვირეული შეხვედრები უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, ფიქსირებულ დროს. სავალდებულო შეხვედრების რაოდენობაა 10. ლექტორის მიერ გაცდენილი შეხვედრა აღდგება ლექცია/სემინარის აღდგენის წესის შესაბამისად. (ცვლილება №31 დამტკიცებული 2014 წლის 6 ივნისის აკადემიური საბჭოს №23-14)

28.3 ჰუმანურ საკითხთა საბჭო

1. ჰუმანურ საკითხთა საბჭოს შემადგენლობაში შედის სამართის სკოლის დირექტორი, ჯანდაცვის სკოლის დირექტორი და საუნივერსიტეტო სკოლების პროფესორისაგან სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის უფროსის მიერ შერჩეული წევრი. ჰუმანურ საკითხთა საბჭოს წევრი შეიძლება იყოს სკოლის დირექტორი, იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის დაცვის საბჭოს თავმჯდომარე. ჰუმანურ საკითხთა საბჭოს წევრები ინიშნებიან სამი წლის ვადით.

2. სტუდენტი ვალდებულია მიმართოს ჰუმანურ საკითხთა საბჭოს კვლევის ინსტრუმენტის დამტკიცებისთვის.

3. კვლევის დაწყებამდე ამოწმებს საკვლევად გამზადებულ კითხვარს, ტესტს თუ სხვა მასალას და ადგენს არღვევს თუ არა საქართველოს კანონმდებლობას, ლახავს თუ არა ადამიანის უფლებებს და ღირსებას, ან არის თუ არა საშიში ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის.

28.4 საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნები

1. ნაშრომის მოცულობა ბაკალავრიატის საფეხურზე შეადგენს - 14 000- 18 000 სიტყვა (დაახლოებით 60-80 გვერდი), ხოლო მაგისტრატურის საფეხურზე - 18 000 – 23 000 სიტყვა (დაახლოებით 80-100 გვერდი) . საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესი, კომპონენტები და მათი შეფასების კრიტერიუმები, მოცემულია დანართი №1 შესაბამისად.(ცვლილება №26 დამტკიცებული 2014 წლის 24 იანვრის აკადემიური საბჭოს №3-14 ოქმით)

2. სტუდენტი ვალდებულია თითოეული კომპონენტი შეასრულოს და გადაუგზავნოს საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერს დანართი №1 დადგენილი ვადების დაცვით. თუ გადაგზავნის ვადები არ იქნა დაცული, სტუდენტს კომპონენტის დაცვის თარიღები გადაუვადდება ერთი კვირით. პრეცედენტის განმეორების შემთხვევაში სტუდენტს კომპონენტი ჩავარდნილად ეთვლება.

3. წინასწარი განაცხადი და საბოლოო ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს APA-ს სტილის დაცვით. (იხ.დანართი №2 - აფა-ს სტილი, ნაშრომის გაფორმება და წყაროთა აღნუსხვა) შიდა დაცვის წინ საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი ადასტურებს ან უარყოფს APA-ს სტილთან თავსებადობას, რაც წარმოადგენს საბჭოზე ნაშრომის მიღება/არ მიღების საფუძველს. ხარვეზის გამოსასწორებლად სტუდენტს ეძლევა 5 სამუშაო დღე.

4. საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადებისას საბაკალავრო საფეხურზე აუცილებელია გამოყენებულ იქნას მინიმუმ 10 ნაშრომი (სოციალური მეცნიერებებისთვის 20), ხოლო სამაგისტრო საფეხურზე - მინიმუმ 25.

5. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციის დამტკიცებაზე, წინასწარ განაცხადსა და დაცვაზე სტუდენტი დაიშვება მხოლოდ ხელმძღვანელის რეკომენდაციით. ხელმძღვანელის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, სტუდენტის ნაშრომი არ განიხილება. ექსპერტის და საბჭოს თავმჯდომარის მიერ მოწოდებული შენიშვნები განიხილება საბჭოს სხდომაზე.

6. ნაშრომის წარდგენის ყველა ეტაპზე აუცილებელია სტუდენტის დასწრება.

7. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა.

7¹. მაგისტრანტი ნაშრომის საბოლოო ტექსტს უგზავნის ხელმძღვანელს, რომელიც 1 კვირის ვადაში ეცნობა სამაგისტრო ნაშრომს. სამაგისტრო ნაშრომზე ხელმძღვანელის დადებითი დასკვნის შემთხვევაში ნაშრომი გადაეგზავნება ექსპერტს, რომელიც შესაბამის დასკვნას ამზადებს 5 დღის ვადაში. (ცვლილება №34 დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2014 წლის 25 ივლისის №32-14 ოქმით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2014 წლის 25 ივლისის №32-14 ოქმით).

მუხლი 28.⁵ საკვალიფიკაციო თემის შერჩევა

1. სკოლის საბჭო აკადემიური რეგისტრაციის დაწყებამდე ამტკიცებს საკვლევ თემატიკას.

2. სტუდენტი ირჩევს საკვალიფიკაციო ნაშრომს სკოლის მიერ გამოცხადებული თემატიკის ფარგლებში და წარუდგენს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბჭოს.

3. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბჭოს პირველ სხდომაზე საბჭოს წევრები ამტკიცებენ საკვლევ თემას (ნაშრომში სათაურის სამუშაო ვერსიას) და სპეციალურ ბლანკზე ხელმოწერით ადასტურებენ თანხმობას კონკრეტული საბჭოს შემადგენლობის წევრობაზე. პირველი სხდომა იმართება შესაბამისი სემესტრის პირველ სასწავლო კვირას.

28.⁶ ნაშრომის კონცეფცია

1. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბჭოს წინაშე შესაბამისი სემესტრის მესამე კვირას, საბჭოს მეორე სხდომაზე საბაკალავრო სწავლების სტუდენტი წარმოადგენს 1500-3000 სიტყვის მოცულობის ნაშრომს - კონცეფციას (დაახლოებით 7-14 გვერდი), ხოლო სამაგისტრო სწავლების სტუდენტი 2500-4000 სიტყვის მოცულობის ნაშრომს- კონცეფციას(დაახლოებით 10-18 გვერდი). (ცვლილება №24 დამტკიცებული 2014 წლის 24 იანვრის აკადემიური საბჭოს №3-14 ოქმით)

2. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია მოიცავს: პრობლემას/საკითხს, და ჰიპოთეზას; შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურის მოკლე მიმოხილვას, კვლევის ადეკვატურ მეთოდებს.

3. კონცეფციის მაქსიმალური შეფასება არის 15 ქულა. სტუდენტის მიერ მიღებული საბოლოო ქულა გამოითვლება საშუალო არითმეტიკულით. (ცვლილება №38 დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2014 წლის 3 დეკემბრის №51-14 ოქმით)

28.⁷ წინასწარი განაცხადი

1. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბჭოს წინაშე შესაბამისი სემესტრის მეცხრე კვირას, საბჭოს მესამე სხდომაზე საბაკალავრო სწავლების სტუდენტის წარადგენს 5 000-7 000 სიტყვის

მოცულობის ნაშრომის, ხოლო სამაგისტრო სწავლების სტუდენტის მიერ 9 000 -12 000 სიტყვის მოცულობის ნაშრომს, რომელიც გამოიყენება როგორც მომავალი საკვალიფიკაციო ნაშრომის საფუძველი. (ცვლილება №24 დამტკიცებული 2014 წლის 24 იანვრის აკადემიური საბჭოს №3-14 ოქმით)

2. წინასწარი განაცხადის ფარგლებში მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს 1. საკითხის მოკლე მიმოხილვა, პრობლემის განსაზღვრა და მოსალოდნელი შედეგები (შესავალი), არსებული შეხედულებებისა და ლიტერატურის მიმოხილვა (თავი I), 2. დაგეგმილი კვლევის მეთოდოლოგია (თავი II), 3. გამოყენებული ლიტერატურა (თავი III). წინასწარ განაცხადში მოცემული უნდა იყოს ასევე ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურა.

3. დასაშვებია წინასწარი განაცხადის დახვეწა, განახლება გაფართოვება დასრულებული ნაშრომის წარდგენამდე, მაგრამ არ უნდა დაირღვეს შესაბამისობა თემის სათაურს, კვლევის თავდაპირველად დაგეგმილ მიზნებსა და მიღებულ შედეგებს შორის.

4. წინასწარი განაცხადის შეფასებაა **25 ქულა**. სტუდენტის მიერ მიღებული საბოლოო ქულა გამოითვლება საშუალო არითმეტიკულით. (ცვლილება №38 დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2014 წლის 3 დეკემბრის №51-14 ოქმით)

28.⁸ საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვა

1. შესაბამისი სემესტრის მეცხრამეტე კვირას საბჭოს **მეთხე სხდომაზე** სტუდენტის მიერ ხდება ნაშრომის დასრულებული ვერსიის წარმოდგენა.

2. დაცვის მაქსიმალური შეფასებაა 40 ქულა. სტუდენტს საკვალიფიკაციო ნაშრომი დაცულად ეთვლება თუ სტუდენტის ჯამური შეფასება შეადგენს არა ნაკლებ 51%-ს. სტუდენტის მიერ მიღებული საბოლოო ქულა გამოითვლება საშუალო არითმეტიკულით. (ცვლილება №37 დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2014 წლის 3 ნოემბრის №46-14 ოქმით), (ცვლილება №38 დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2014 წლის 3 დეკემბრის №51-14 ოქმით)

3. დაცვის ჩატარების შემდეგ ხარისხის მინიჭებამდე მაგისტრანტის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია ჩატარდეს საჯარო ლექცია ნაშრომის შესახებ. (ცვლილება №28 დამტკიცებული 2014 წლის 19 თებერვლის აკადემიური საბჭოს № 7-14 ოქმით)

29. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა

საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა წარმატებით დაძლია პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი. სტუდენტს ენიჭება პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია და ეძლევა ამ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი. თუ შედეგების საშუალო არანაკლებ 3.5-ია სტუდენტს გადაეცემა წარჩინების დიპლომი.

დანართები: (ცვლილება №11 დამტკიცებული 2013 წლის 20 თებერვლის აკადემიური საბჭოს №9-13 ოქმით)

№1. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესი, კომპონენტები და შეფასების კრიტერიუმები.

№2. მოთხოვნები საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების მიმართ (APA სტილი)

№3. ერთსაფეხურიანი სასწავლო პროგრამის შესახებ.(ცვლილება №23 დამტკიცებული 2013 წლის 28 ნოემბრის აკადემიური საბჭოს №46-13 ოქმით)

№4. გზამკვლევი ლექტორებისათვის.(ცვლილება №26 დამტკიცებული 2014 წლის 24 იანვრის აკადემიური საბჭოს №3-14 ოქმით)

№5. ინფორმატიკის საბაკალავრო პროექტის გაფორმების წესი, კომპონენტები და შეფასების კრიტერიუმები.(ცვლილება №29 დამტკიცებული 2014 წლის 28 მარტის აკადემიური საბჭოს №15-13 ოქმით)

№6. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვის წესი ცვლილება (№37 დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2014 წლის 3 ნოემბრის №46-14 ოქმით)

№7. შეფასების სისტემა სამედიცინო პროგრამებისთვის ცვლილება №44 დამტკიცებული 2016 წლის 26 თებერვლის აკადემიური საბჭოს №07/16 ოქმით